# წელიწადის დროები

## წელიწადი

გაზაფხული, ზაფხული,

შემოდგომა, ზამთარი, -

ესეც შენი ოთხი დრო,

წელიწადი მზად არი.

გიორგი წერეთელი

## შემოდგომა

რამოდენა ვენახია,

ან რამდენი ყურძენია!

რთველი დადგა, მოსაკრეფად

გამოსულან უთენია.

მე ვენახში პირველად ვარ,

ყველა ჩუმად მაკვირდება,

ჯერ არც კრეფა შემიძლია,

არც კალათის აკიდება.

არც იმაზე ვდარდობ, წლეულს

მოსავალი როგორია,

ჩემს წინ მწიფე ყურძნით სავსე

სამნაირი გოდორია.

ერთში - თეთრი, ერთში - შავი,
ერთში კიდევ - ქარვისფერი...
ხან ერთს ვყლაპავ, ხან მეორეს,
ლამის არის დავითვერი.

პატარა ვარ, გავიზრდები,
მოვა ჩემი გარჯის ჯერიც,
ჯერ ჯაგანი მომაწოდეთ,
ან აკიდო ამიჭერით.

რომ ყურძენი სახლის სხვენზე
ზამთარშიაც ეწყოს ბლომად...
უხვმა რთველმა, ბევრმა ხილმა
შემაყვარა შემოდგომა.

გრიგოლ აბაშიძე

## შემოდგომა

ხილით, ლხენით, ზეიმით
შემოდგომა მოვიდა.
- შემოდგომავ, გვითხარი,

მობრძანდები შორიდან?

- არა ჩემო კარგებო,
შორი მგზავრი როდი ვარ,
მე თვენს ვენახებიდან,
ბაღებიდან მოვდივარ.

- გვითხარ, ასე ბარაქით
ნეტავ ვინ დაგამშვენა?
- ვინა? თქვენი მშობლების
დაუღლელმა მარჯვენამ.

- გვითხარ, რა მოგვიტანე,
აგრემც შემოგევლებით?
- პაპის ხელით მოწვდილი
დაშაქრული მტევნები,

მოსავალი ულევი,
თვალით ჯერ არ ნახული
ნარინჯები კოლხური,
ჩურჩხელები კახური.

- ჩვენგან რაღას მოითხოვ,

შემოდგომავ, ლამაზო?

- მინდა კარგად ისწავლოთ,

მინდა, არ იზარმაცოთ.

მემრის, როცა ოქროსფრად

კვლავ მოგირთავთ ვენახებს,

შემდეგ კლასში ხუთებზე

გადასული მენახეთ!

იოსებ ნონეშვილი

## შემოდგომა

შემოდგომა მოვიდა

წითელ-ყვითელ ფერებით,

მოსავალით აივსო

კოლექტივის ველები.

დაიტვირთნენ ვაზები,

დაიშაქრნენ მტევნები,

აღაჟღაჟდნენ ვაშლები,

გადაყვითლდნენ ტევრები.

- სიტკბოებაც აქ არი!

- სიხარულიც აქ არი!

- ბიჭო, მარდად დაჰკარი!

- ჩამობერტყე კაკალი!

ისმის შესახილები,

სიმღერებით სტკბებიან.

აჩუხჩუხებს თათარას

თმაჭაღარა ბებია.

ჩურჩხელები მზისაგან

მაგრდებიან, ხმებიან,

პატარები ბებიას

მკვირცხლად ეგებებიან,

ტკბილად ესიტყვებიან,

ტკბილად ეუბნებიან:

- ჩურჩხელები მოგვეცი,

საყვარელო ბებია!

ლადო ასათიანი

## ზამთარი

ბიჭოს, რა თოვლი მოვიდა,

ნეტავ საიდან მოვიდა,

იმდენ ხანს დააგვიანა,

ალბათ, ძალიან შორიდან.

აუ, რამდენი ფიფქია,

ფიფქები ქარში მიქრიან,

ასე ლამაზი თუ იყო

ზამთარი, არც მიფიქრია.

ეი, ბეღურავ, მავთულზე

მობუზული რომ ზიხარო,

ჩემს აივანზე მოფრინდი,

საკენკი გადმოგიყარო,

ცოტათი გათბი, დანაყრდი

და მერე ერთად ვიხაროთ.

ნოდარ დუმბაძე

## გაზაფხული

გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას,

თავს იწონებს ნაზი ია;

ჩვენს სალხენად კოკობ ვარდსაც

ეშხით გული გაუღია.

ხავერდივით მწვანე ბალახს

აბიბინებს სიო ნაზად,

თითქოს უნდა დაეფინოს

იმ ყვავილებს ფიანდაზად.

მაღალ მთიდან წმინდა წყარო

მოცქრიალებს ჩუხჩუხითა,

თითქოს ნანას ეუბნება

ჰუჰუმწოვრებს ტკბილი ხმითა.

ხის ტოტებზედ ჩიტუნები

ფრთხიალობენ, სრიალობენ;

იშენებენ მაღლა ბუდეს,

დაჰხარიან და გალობენ.

და მხლობლად იქვე თავი

მოუყრიათ ყმაწვილებსა,

იმღერიან და თან ჰკრეფენ

სხვადასხვაფერს ყვავილებსა.

აკაკი წერეთელი

## გაზაფხულო ლამაზო

ჩემო ჭრელო პეპლებო,

ჩემო ლურჯო იებო,

ჩემო ნუშის ხეებო,

ჩემო ჩიტუნიებო.

როდის აყვავილდებით,

ატმებო და ვაშლებო,

ტყეში მარწყვის საკრეფად

როდის წავალთ, ბავშვებო?

ჰა, ზამთარი მიდის და...

თოვლი დნება ნელ-ნელა.

აი, თავი ამოჰყო

ბუჩქის ძირას ენძელამ.

საწყალ თოვლის ბაბუას

დავუშინოთ გუნდები;

გაზაფხულო, ლამაზო,

მალე დაგვიბრუნდები?

ნოდარ დუმბაძე

**შემოდგომა**

ამ ვენახებს გახედეთ,

დამწიფებულ ყურძნებს,

ახლა ვინც ქალაქშია,

გული როგორ უძლებს.

თქვენ გეძახით ქალაქელ

გოგონებს და ბიჭებს:

სექტემბერში უკლებლად

ყველას რთველში გიწვევთ!

ანზორ აბულაშვილი

**ზამთარი**

ტყის სიმწვანე სად წასულა,

ჩიტუნები სად არიან?

თოვლი მოდის, ქარი წივის:

„ზამთარია! ზამთარია!“

შეხე პეპლებს,

ფრთათეთრ პეპლებს,

ხეებს ირგვლივ ევლებიან,

ეს თოვლია,

თოვლი მოდის,

განა მართლა პეპლებია!

ეს ზამთარი მობრძანდება

თეთრწვერა და თმაჭაღარა,

გუნდამ,

ციგამ,

თოვლის კაცმა -

ყველამ ერთად გამახარა.

გრიგოლ აბაშიძე

**ზაფხული**

ზაფხულია, მაგრამ წვიმს და

გვენატრება მზეო,

თუმცა მალე ჩამოცხება,

დივლი-დალალეო.

ზოგს მდინარე გველოდება,

ზოგსაც თბილი ზღვაო,

ჭყუმპალის დრო ახლოვდება,

დილა-ოდილაო.

ჯერ კი წვიმს და მზის სხივები

სანატრელიაო,

წვიმავ, წვიმავ, დაგვეხსენი,

აბა-დელიაო.

კობა ჭუმბურიძე

***

1.

არე-მარე როდესაც

თოვლში არის ჩაფლული,

წელიწადის ასეთ დროს

ეწოდება – ზაფხული!

2.

როცა ნუში ყვავილობს

და ჰაერიც გამთბარა,

სულ იოლად მიხვდებით

– შემოდგომა დამდგარა!

3.

ისე ცხელა, სუყველას

გვენატრება ავდარი,

ივნის-ივლის-აგვისტოს

ერთად ჰქვია – ზამთარი!

4.

გადაყვითლდა მთაბარი,

ქრიან ცივი ქარები,

გაზაფხულმა სამი თვით

შემოაღო კარები.

კობა ჭუმბურიძე

***

ერთი შეხეთ, ენძელები

როგორ ჰგვანან ზანზალაკებს,

ალბათ ჩვენთვის უცხო ხმაზე

მოუხმობენ ამხანაგებს:

დროა თვალი გააჭყიტოთ,

დილა არის რა ზღაპრული,

მოგვეშველეთ, ყველამ ერთად

გავაღვიძოთ გაზაფხული.

კობა ჭუმბურიძე

**შემოდგომა**

დილაობით უკვე ცივა,

ადრიანად ღამდება.

ხეს ფოთოლი უყვითლდება,

ზვრებში რთველი მთავრდება.

შორს გაფრინდნენ ჩიტუნები,

ქარი ხეებს ეხლება,

ცაზე ლეგა ღრუბლებია,

მიგვატოვეს მერცხლებმაც.

სანოვაგით ავსებს ციყვი

ხეზე თავის ფუღუროს.

წვიმს და ლამაზ ყვითელ ტყეებს,

გინდა, სულ რომ უყურო.

მარიამ წიკლაური